NEWSLETTER



MBA CLASS OF 2019- BTU-ს პირველი კურსდამთავრებული მაგისტრები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში პირველი კურსდამთავრებული მაგისტრებისთვის გამოსაშვები ცერემონია გაიმართა.
BTU-ს გადაწყვეტილებით, უწყვეტი განათლების პრინციპის შესაბამისად, ყველა კურსდამთავრებულს, მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ექნება საშუალება სრულიად უფასოდ გაიაროს ნებისმიერი სასერტიფიკატო კურსი იმ საგანში, რომელიც ისწავლება ჩვენს უნივერსიტეტში - ნებისმიერი პროგრამის ფარგლებში.
ამის გარდა, ყველა კურსდამთავრებულს, მოემსახურება მეწარმეობის ერთადერთი საერთაშორისო ცენტრი საქართველოში, რომელიც სილიკონ ველი თბილისის ტერიტორიაზე, ჰენლის მეწარმეობის ცენტრთან პარტნიორობით გაიხსნება.
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ახორციელებს უწყეტი განათლების პრინციპის დანერგვას და კურსდამთავრბეულებს სთავაზობს საჩუქრად, უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით, დარეგისტრირდნენ და გაიარონ ის კურსი, რომელიც სემესტრის განმავლობაში ისწავლება უნივერსიტეტში საბაკალავრო ან სამაგისტრო საფეხურზე.

მესამე წელი და მესამე რეკორდული მაჩვენებელი - BTU 3 წლისაა !

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს 1250-მდე სტუდენტი შემოუერთდა.
საბაკალავრო პროგრამები
- ბიზნესის ადმინისტრირება- მენეჯმენტი- 471 სტუდენტი
- ბიზნესის ადმინისტრირება- ფინანსები - 166 სტუდენტი
- საინფორმაციო ტექნოლოგიები- 400 სტუდენტი

სამაგისტრო პროგრამა
- ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები- 134 სტუდენტი

მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობა- 83

არტ ინკუბატორის სტარტაპმა „საპომ“ BIG IDEA CHALLENGE-ის შემდეგბრიტანეთის საბჭოს საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა

ბრიტანეთის საბჭოს პროექტისა და კონკურსის „შემოქმედებითი ნაპერწკლის“ საერთაშორისო კატეგორიის გამარჯვებული საქართველო გახდა. კონკურსში, რომელშიც 7 ქვეყნის 90 ინსტიტუცია მონაწილეობდა, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის არტ ინკუბატორის წევრმა სტარტაპმა „საპომ“ გაიმარჯვა.

გამარჯვებული პროექტის ავტორები არტ ინკუბატორის წევრები ნაილი ვახანია და თენგიზ კავკასიძე არიან. სტარტაპი „საპო“ ამზადებს ნატურალური ინგრენდიენტებისგან ხელნაკეთ საპონს, რომელსაც აქვს ცხოველების ფორმა. იდეა მდგომარეობს შემდეგში: დამზადებული საპნების საშუალებით ბავშვებს შეუყვარდეთ ხელის დაბანა. ყველა საპონს რომელსაც აქვს ცხოველის ფორმა, მოყვება საკუთარი ზღაპარი, სადაც აღწერილია ამ პერსონაჟის თავგადასავალი, თუმცა ყველა თავგადასავალს აკლია ბოლო გვერდი, რომელიც გრაგნილის სახით არის დახვეული და დამალულია საპონში. ზღაპრის ბოლოს ბავშვებს შეხვდებათ წარწერა რომ თუ გსურთ ამბის დასასრულის გაგება რაც შეიძლება ხშირად უნდა დაიბანოთ ხელი და ამბის დასასრულს საპონში იპოვით.

ქართველ სტარტაპერებთან ერთად ბრიტანეთში გამართულ კონკურსში კიდევ 6 ქვეყნის გამარჯვებული გუნდი მონაწილეობდა. პროგრამა „შემოქმედებითი ნაპერწკალი“ 7 ქვეყანაში: საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყაზახეთსა და ყირგიზეთში ტარდება.

თბილისის კრეატიული ცენტრი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და მსოფლიო რეიტინგის 20 საუკეთესო სამეწარმეო ცენტრებს შორის დასახელებული ბრიტანული Henley Center for Entrepreneurship-ის ერთობლივი პროექტია.

ოქსფორდის უნივერსიტეტში, ბრიტანეთის საბჭოს შემოქმედებითი ნაპერწკალის პროექტის ფარგლებში ასევე გაიმართა კონფერენცია, პანელი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს დაეთმო.
BTU-ში დანერგილი მეწარმეობის სწავლების მოდელი არჩეულ იქნა ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად, პროექტში მონაწილე 90 ინსტიტუციას შორის.

INFLUENCE GEORGIA-მ გლობალური სტარტაპ ფონდის ფარგლებში 1 300 000 დაფინანსება მოიპოვა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, სილიკონ ველი თბილისისა და ისრაელის სილიკონ ვადის პარტნიორობით შექმნილი გლობალური სტარტაპ ფონდის ფარგლებში "Influence Georgia"-მ 1 300 000 დაფინანსება მოიპოვა.

გლობალური სტარტაპ ფონდის მიზანი საქართველოს სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმულირების პროცესის მხარდაჭერა, მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური სტარტაპების აღმოჩენა და მათი საერთაშორისო ბაზარზე კომერციალიზაციის ხელშეწყობაა.

ლექტორთა განახლებული გუნდი BTU-ში

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი განათლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის პარალელურად, აქტიურად მუშაობს ძლიერი გუნდის შექნაზე.

უნივერსიტეტის პერსონალი დაკომპლექტებულია მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებით, საქართველოში არსებული უმსხვილესი ორგანიზაციების ტოპ მენეჯერებით.

სტუდენტებისთვის პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების მისაცემად, მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი ლექტორების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. ამ მიმართულებით წელს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს განსაკუთრებული სიახლე აქვს.

ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტებს განახლებული ლექტორების გუნდი დახვდათ. მათ შორის არიან: „თიბისი ბანკის“ ბრენდ მენეჯერი, „სოკარის“ ხარისხის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, „გეფას“ ფინანსური ანალიტიკოსი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, School of Science-ის დამფუძნებელი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სტრატეგიული პროექტების მენეჯერი, სასტუმრო სტამბას - სტუმრებთან ურთიერთობის აღმასრულებელი, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო - დონორებთან ურთიერთობისა და ფონდების მოძიების კოორდინატორი, თიბისი ბანკის უფროსი პირადი ბანკირი, ფინანსური მრჩეველი სს „საქართველოს რკინიგზაში“ და სხვა.

უნივერსიტეტის პერსონალი შედგება განათლების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პროფესიონალებისგან, რომელთაც უწყვეტი კომუნიკაცია აქვთ აბიტურიენტებსა და სტუდენტებთან.

BTU-ს ფინანსების საბაკალავრო პროგრამამ ACCA აკრედიტაცია მიიღო

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ფინანსების საბაკალავრო პროგრამამ ACCA აკრედიტაცია მიიღო. აღნიშნული პროგრამა ერთადერთია საქართველოში, რომელიც ACCA-ის სტანდარტების მიერ სრულად არის აკრედიტებული. პროგრამის აკრედიტირება ნიშნავს, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცემათ ეტაპობრივად გაიარონ ACCA-ის F1 დან F9 მოდულამდე კურსები და შესაბამისი გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღონ საერთაშორისო სერტიფიკატები.

ACCA სტანდარტები მსოფლიოს ყველა დამსაქმებლის მიერ არის აღირებული. მარტივად რომ ვთქვათ, თუ რომელიმე ევროპულმა კომპანიამ ინტერვიუზე დაგიბარათ, მარტივად შეგიძლიათ, ACCA-ს სტანდარტების მიერ აკრედიტებული პროგრამის დიპლომი წარუდგინოთ და დაუმტკიცოთ, რომ თქვენ მიერ მიღებული უმაღლესი განათლება მათი მოთხოვნების შესაბამისია.

ახალგაზრდული ორგანიზაცია რეფორმერის ინიციატივა - პროგრამული ენების კურსი მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის

გორის რაიონის საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მოსწავლეებისთვის პროგრამული ენის შემსწავლელი კურსი უფასოდ ჩატარდება. გადამზადების კურსის ტრენერი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის (BTU-ს) საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი ოთარ ტერტერაშვილია. ბენეფიციარები შეისწავლიან full start java script-ს. პროგრამის ფარგლებში, გორის გარდა პროგრამული ენების კურსის თბილისში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სოციალურად დაუცველი ახალგაზრდებისთვის ტარდება, კურსის ტრენერების გუნდი დაკომპლექტებულია BTU-ს სტუდენტებისგან.

გადამზადების პროგრამა, რომელიც 1 წლის განმავლობაში გაგრძელდება, სრულად დაფინანსებულია ახალგაზრდული ორგანიზაცია „რეფორმერის“ მიერ. პროექტის



საქართველოს პირველი განახლებადი ენერგოწყაროების ლაბორატორია BTU-ში გაიხსნა

საქართველოში პირველად მუშაობას განახლებადი ენერგოწყაროების ლაბორატორია (RES Lab) იწყებს, რომლის მიზანიც საქართველოს ენერგოსექტორში მოქმედი კომპანიების წინაშე არსებული გამოწვევების განხილვა, შესაბამისი კვლევების განხორციელება და კონსულტაციების გამართვა იქნება.

RES Lab ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ერთობლივი პროექტია, რომლის ფარგლებში სადისკუსიო პანელი შეიქმნება, სადაც კერძო და სახელმწიფო ინსტიტუციები გაერთიანდება .

ლაბორატორიის მუშაობაში ეტაპობრივად ჩაერთვება სხვადასხვა ორგანიზაცია, არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისოც, როგორიცაა: USAID, EBRD, ADB, EIB. პანელური შეხვედრების ფორმატში მუდმივად განიხილება კვლევების შედეგები, რეკომენდაციები და მისი განხორციელების გზები საქართველოში.

განახლებადი ენერგოწყაროების ლაბორატორიის მუშაობაში ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებიც ჩაერთვებიან. გლობალური დათბობა, რომლის გამომწვევი მიზეზიც არაგანახლებადი ენერგიის წყაროების ინტენსიური გამოყენების შედეგად ნახშირორჟანგის დიდი რაოდენობით დაგროვებაა, დღევანდელი მსოფლიოს ერთ–ერთი მთავარი გამოწვევაა. ამიტომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით სულ უფრო და უფრო მეტს საუბრობენ განახლებადი ენერგოწყაროების გამოყენების შესახებ, რაც ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოეფექტურობის გარანტია.

BTU-ს სტუდენტებმა SYSTEMcorp-ის გადამზადების კემპი გაიარეს

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტებმა წინასწარი შერჩევის საფუძველზე SYSTEMcorp-ის გადამზადების კემპში მიიღეს მონაწილეობა. მონაწილეებმა მანქანური ინტელექტის საფუძვლები გაიარეს. კურსი მოიცავდა წრფივ ალგებრას, კალკულუსს და სპეციფიკური პრობლემების ვარიაციული განტოლებების სახით წარმოჩენას, მათი შემდგომი ნეირონულ ქსელში იმპლემენტაციისათვის.
კურსის ტიპი სპეციფიკურად გათვლილი და მორგებული იყო ბიზნესისა და ტექნოლოგიებს სტუდენტების აკადემიურ კალენდარზე. კემპის ფარგლებში იმართებოდა 1 კვირიანი სპრინტები, ხოლო კვირის ბოლოს მოეწყო შეხვედრა გადაუჭრელი პრობლემებისა და ამოუხსნელი ამოცანების შესაჯამებლად. ჯამში კურსის ფარგლებში 13 შეხვედრა გაიმართა.
კემპის მონაწილეები გაეცნენ მანქანური ინტელექტის სფეროს საფუძვლებს, რაც აუცილებელია მეცნიერ-ინჟინრად ჩამოყალიბებისათვის და ამ სფეროში კონტრიბუციისათვის. კემპის გავლის შემდეგ ბიზნესისა და ტექნოლოგიების 4 სტუდენტი გააგრძელებს SYSTEMcorp-თან ხანგრძლივ თანამშრომლობას, ხოლო სექტემბრიდან SYSTEMcorp BTU-ს სტუდენტების ახალ ნაკადს გადაამზადებს.

„LES ROCHES" უნივერსიტეტის პროფესორის, ჯონ რაიანის შეხვედრა სტუმარ-მასპინძლობის სფეროს წარმომადგენელი კომპანიების ტოპ მენეჯერებთან

ტურიზმის სფეროში არსებულ გამოწვევებზე სასაუბროდ „ლე როშეს" უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ რიაინი სტუმარ-მასპინძლობის სფეროს წარმომადგენელი კომპანიების ტოპ მენეჯერებს შეხვდა. შეხვედრა Les Roches სტუარ-მასპინძლობის მენეჯმენტის ინსტიტუტის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერისტეტის, Property Georgia-სა და Adjara Group-ის ორგანიზებით გაიმართა. მასტერკლასის თემა იყო „ტურისტული ბაზრის დივერსიფიცირება, მომხმარებლის შენარჩუნება და ეფექტიანი მენეჯმენტი".

შეხვედრაზე საქართველოში ტურიზმის სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და არსებული სირთულეების დაძლევის გზებზე ისაუბრეს. ჯონ რაიანის მასტერკლასის შემდეგ გაიმართა დისუკსია, რომლის ფარგლებშიც მოწვეულმა სტუმრებმა კონკრეტული რჩევებიც მიიღეს. ჯონ რაიანმა დამსწრე საზოგადოებას კრიზიების მართვის საკუთარი და სხვა ქვეყნების გამოცდილება გაუზიარა.

Les Roches არის მსოფლიოს სამეულში შემავალი მოწინავე სტუმარ-მასპინძლობის სკოლა, რომლის წარმომადგენელმაც ტურიზმის ინდუსტრიაში მომუშავე ყველა დაინტერესებული სპეციალისტისთვის ჩაატარა სემინარი.

მსოფლიოს საუკეთესო სამეულის წევრი შვეიცარული სკოლა, ტურიზმისა და სტუმარ- მასპინძლობის მიმართულებით, Les Roches ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მხარდაჭერით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს.

ივლისში კი სტუმართმასპინძლობის სფეროს შესახებ Les Roches უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ყვარლის ტბის კურორტის თანამშრომლებს სემინარი თავად ჩაუტარეს.

ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები CREATIVE SPARK-ის ფარგლებში

ბრიტანული საბჭოს პროექტ Creative Spark-ის ფარგლებში, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა დაინტერესებულ პირებს სრულიად უფასოდ შესთავაზა ინგლისური ენის კურსები :

1. 20-კვირიანი ინგლისური ენის კურსი ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტებისათვის. კურსის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში, სტუდენტს გადაეცემა სერთიფიკატი.

2. ინგლისური ენის შემსწავლელი ონალაინ კურსი ნებისმიერი დაინტერესებულისათვის.

ბიზნესისა და ტქნოლოგიების უნივერსიტეტმა მიიღო ორი გრანტი ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო პროექტში შემოქმედებით ნაპერწკალში “Creative Spark” –

1. Henley business school
2. Westminster

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსტეტი პროექტის ფარგლებში პარტნიორობას აგრძელებს ბრიტანეთის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტთან, ჰენლის ბიზნეს სკოლასთან. პროექტის მთავარია მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მასშტაბით სამეწარმეო ეკოსისტემის მდგრად განვითარებას.

- English Learning Programme - English Channel - მონაწილეთათვის სრულიად უსასყიდლოდ გაიხსნება ბრიტანული საბჭოს მიერ მოწოდებული უფასო ინგლისური ენის შემსწავლელი პლატფორმა.
- Art Incubator - კრეატიული ინდუსტრიების სამეწარმეო აქტივობის მხარდამჭერი ერთეული, რომელიც პირველი წლის განმავლობაში დაეხმარება 10 ბიზნესს განვითარებასა თუ ჩამოყალიბებაში.
- Skill Lab ვორქშოფი - 8 საორიენტაციო ვორქშოფი, რომლის ფარგლებშიც მონაწილეები შეისწავლიან ყველა მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც აუცილებელია სტარტაპერებისთვის.
- Startup Bootcamp - ბუთქემფი, რომელიც დასრულდება სტარტაპები დემო დღით და იდეების პიჩინგით ინვესტორების, vc ფონდების, ექსპერტების წინაშე.
- ციფრული სკოლა - პლატფორმა საშუალებას მისცემს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფასოდ მიიღოს ტრენინგი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ბიზნეს და მარკეტინგის გეგმა, იდეის განვითარება, საიტის შექმნა და ა.შ.
- ტექ-ვორქშოფი - ტექნოლოგიური ვორქშოფების სერია მოიცავს კრეატიული ინდუსტრიისთვის საჭირო ტექნოლოგიური ხასიათის საკითხებს, როგორებიცაა 3D ბეჭდვა და წარმოება, აპლიკაციისა და საითის განვითარება, დიზაინისა და მედია პროდაქშენის საწყისები, ა.შ.
- ჰაკათონი - ციფრული დიზაინის გუნდური შეჯიბრი, რომლის ფარგლებშიც გუნდებს დაევალებათ 5 კვირის განმავლობაში უპასუხონ ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევას.
- Creative Tech Festival - მრავალფეროვანი ფესტივალი რომელიც მოიცავს სხვადასხვა გამოსვლებს, ვორქშოფებს, მასტერკლასებს და ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის ცოდნის გაზიარებასა და ნეთვორქინგს.
- Big Idea Challenge - ყოველწლიური გლობალური გამოწვევა, ონლაინ კონკურსი სტარტაპებისთვის, რომლის პრიზებიც მოიცავს ბიზნესის დაფინანსებასა და მენტორინგსა. ქვეყნის გამარჯვებული გუნდი ასევე გაემგზავრება ლონდონში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ერთ-ერთი წამყვანი სტარტაპ კლასტერის ‘სტარტაპ სპტრინტში’.

საერთაშორისო ურთიერთობები

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამების ფარგლებში BTU-მ დაიწყო თანამშრომლობა ევროპის 6 უნივერსიტეტთან 2019-2022 წლებში:

I. კილის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია) - სტუდენტებისთვის სემესტრული სასწავლო და სტაჟირების სტიპენდიები; პერსონალისთვის მოკლევადიანი მობილობის სტიპენდიები;
II. კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია) - სტუდენტებისთვის სემესტრული სასწავლო სტიპენდიები; პერსონალისთვის 2 თვემდე მობილობის სტიპენდიები;
III. კარლოს ტექნოლოგიური ინსტიტიტი (ირლანდია) - სტუდენტებისთვის სემესტრული სასწავლო სტიპენდიები; პერსონალისთვის მოკლევადიანი მობილობის სტიპენდიები;
IV. ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პორტუგალია) - პერსონალისთვის მოკლევადიანი მობილობის სტიპენდია;
V. რჟეშოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი) - პერსონალისთვის მოკლევადიანი მობილობის სტიპენდია;
VI. ლიმერიკის უნივერსიტეტი (ირლანდია) - სტუდენტებისა და პერსონალის სტიპენდიები (მოგვიანებით დაზუსტდება ხანგრძლივობა და რაოდენობა)
ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში 3 გაცვლითი პროგრამის განხორციელება:
I. ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პორტუგალია)
II. ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიეტუვა)
III. ვარნას მენეჯმენტის უნივერსიტეტი (ბულგარეთი)



სწავლების ხარისხის განვითარებაზე სრუნვა ჩვენი პრიორიტეტია

- დარგის სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს დაემატა ახალი არჩევითი სასწავლო კურსები, რიგ შემთხვევაში დაიხვეწა სასწავლო კურსების შინაარსი (დაემატა აქტუალური თემები), სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა და ა.შ.
- ჩატარდა შეხვედრები სტუდენტებთან, პროგრამების განმახორციელებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან (კურსდამთავრებულთა პოტენციურა მოსაზრებები, მოლოდინები და კმაყოფილების დონე სასწავლო პროცესის წარმართვასთან, განხორციელებულ პროექტებთან და BTU-ში არსებულ პირობებთან დაკავშირებით.
- საბიბლიოთეკო ფონდი შეივსო სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით, განახლდა წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (ებსკო).
- BTU -ლექტორებისთვის გაიხსნა წვდომა ACCA- სასწავლო რესურსებზე.დამსაქმებლებთან), სადაც განხილულ იქნა დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები, მოლოდინები და კმაყოფილების დონე სასწავლო პროცესის წარმართვასთან, განხორციელებულ პროექტებთან და BTU-ში არსებულ პირობებთან დაკავშირებით.
- საბიბლიოთეკო ფონდი შეივსო სასწავლო და მხატვრული ლიტერატურით, განახლდა წვდომა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე (ებსკო).
- BTU -ლექტორებისთვის გაიხსნა წვდომა ACCA- სასწავლო რესურსებზე.